13/11/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა

ა.წ. 9 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ისტორიულ ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს უმასპინძლა. ღონისძიებას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე), ჰერეთში მოღვაწე დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი, ჟურნალ ,,სამეფო გვირგვინის“ რედაქტორი მონოზონი მარიამი (ია ბაგრატიონ-მუხრანელი), პროფესორი ნოდარ ნათაძე და სხვა პირები ესწრებოდნენ.

ჰერეთიდან ჩამოსულმა ქართველებმა მის უწმინდესობას თანადგომა გამოუცხადეს და მათ მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისა და ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადეს. მათივე თქმით, ჰერეთში ამოქმედებელი ეკლესიები უდიდესი ნუგეში და იმედია იქ მცხოვრები ქართველებისთვის.

,,მე ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ საპატრიარქოში. – ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, – შევთხოვ უფალს, რომ წყალობა თვისი არ მოგაკლოთ.

თქვენ, ჰერეთის მოსახლეობა გმირები ხართ. თქვენ გადაიტანეთ მძიმე წლები და მძიმე დღეები, მაგრამ ვერ გაგტეხეს. დალოცვილი იყავით! ხშირად გვესტუმრეთ და გაგვახარეთ.“

— patriarchate.ge